

საქართველოს ისტორია და კულტურა  
I კურსი. I, II სემესტრი. 2020-2021 წელი  
(შუალედური გამოცდის ნიმუში)

**Question 1**

საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებია:

Select one:

- a. თურქეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, რუსეთი
- b. რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, თურქეთი
- c. ირანი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, დაღესტანი
- d. რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი

**Question 2**

ურარტუს რომელი მეფე ლაშქრობს კოლხას წინააღმდეგ

Select one:

- a. სარგონი
- b. მენუა
- c. სარდური
- d. არამუ

**Question 3**

უძველესი ქართული სახელმწიფოები – დიაოხი და კოლხა მდებარეობდა:

Select one:

- a. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში
- b. კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში
- c. კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში
- d. კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში

**Question 4**

კოლხას ბრწყინვალეების ამსახველი ცნობები დაცულია:

Select one:

- a. აპოლონ როდოსელის "არგონავტიკაში"
- b. ჰეროდოტეს "ისტორიაში"
- c. ქსენოფონტეს "ანაბაზისში"

d. ურარტულ ლურსმულ წარწერებში

#### Question 5

ძველი ქართული ტრადიცია (ლეონტი მროველი) ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნას უკავშირებს:

Select one:

- a. ქუჯის
- b. ფარნავაზს
- c. სელევკს
- d. აზოს

#### Question 6

რომელი ქართველი მღვდელმთავარი ესწრებოდა ნიკეის საეკლესიო კრებას?

Select one:

- a. ნეკრესის ეპისკოპოსი,
- b. ბიჭვინთის ეპისკოპოსი,
- c. ჭყონდიდის ეპისკოპოსი
- d. წილქნის ეპისკოპოსი,

#### Question 7

რომელი ქართველი მეფის დროს მოიპოვა ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა?

Select one:

- a. ვახტანგ გორგასლის
- b. მირიანის
- c. ფარსმან ქველის
- d. მირდატის

#### Question 8

რა შედეგით დასრულდა "დიდი ომიანობა" ეგრისში

Select one:

- a. ეგრისმა დამოუკიდებლობა მოიპოვა
- b. ეგრისი ირანმა მიისაკუთრა
- c. ეგრისი ბიზანტიას დარჩა
- d. ირანმა და ბიზანტიამ გაინაწილეს

### Question 9

რომელ საუკუნეში გამოჩნდნენ არაბი დამპყრობლები საქართველოში ?

Select one:

- a. VI საუკუნეში
- b. VII საუკუნეში
- c. V საუკუნეში
- d. VIII საუკუნეში

### Question 10

რა დოკუმენტი გაფორმდა ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ II-სა და არაბ სარდალ ჰაბიბ იბნ მასლამას შორის ?

Select one:

- a. „ტრაქტატი“
- b. „ფიცის წიგნი“
- c. „წყალობის სიგელი“
- d. „დაცვის სიგელი“

### Question 11

ვინ მიიღო 888 წელს ქართველთა მეფის ტიტული?

Select one:

- a. ბაგრატმა
- b. აშოტმა
- c. გურგენმა
- d. ადარნასემ

### Question 12

რომელი ქართველი დიდებული ეხმარებოდა დავით კურაპალატს საქართველოს გაერთიანებაში?

Select one:

- a. გრიგოლ ბაკურიანის ძე
- b. იოანე მარუშის ძე
- c. ლიპარიტ ბაღვაში
- d. სერგი ბარნუკის ძე

### Question 13

ვინ იყო საქართველოს მეფე "დიდი თურქობის" დროს?

Select one:

- a. ბაგრატ IV
- b. დავით III
- c. გიორგი II
- d. გიორგი I

### Question 14

საქართველოს რა ნაწილის შემოერთებას მოჰყვა ერწუხის ბრძოლა ?

Select one:

- a. შიდა ქართლი
- b. კლარჯეთი
- c. კახეთ-ჰერეთი
- d. ტაო

### Question 15

ვინ არის ავტორი „გალობანი სინანულისანის“?

Select one:

- a. ბაგრატ III
- b. აშოტ კურაპალატი
- c. დავით აღმაშენებელი
- d. მეფე თამარი

### Question 16

რა ერქვა საკანონმდებლო ხელისუფლების მქონე ორგანოს, რომლის დაარსებაც სურდა ყუთლუ-არსლანს?

Select one:

- a. "დარბაზი"
- b. „მსტოვართა ინსტიტუტი“
- c. „სააჯო კარი“
- d. „კარავი“

### Question 17

რომელი სამართლის წიგნით იყო განსაზღვრული მეფის მოხელეების უფლება-მოვალეობანი?

Select one:

- a. ხელმწიფის კარის გარიგება
- b. ბექა-აღბუღას სამართალი
- c. ვახტანგ VI სამართალი
- d. ძეგლისდება

### Question 18

რომელი მეფეების პერიოდს ეწოდება ორმეფობა?

Select one:

- a. დავით ულუსა და დავით ნარინის მეფობის
- b. გიორგი I-ისა და გიორგი II -ის
- c. დემეტრე I-ისა და დემეტრე II-ის
- d. ერეკლე I-ისა და ერეკლე II-ის

### Question 19

რომელი სახელმწიფო გაუმეზობლდა საქართველოს ბიზანტიის ნაცვლად?

Select one:

- a. ოსმალეთი
- b. რუსეთი
- c. მონღოლეთი
- d. ირანი

### Question 20

რომელ წელს გაფორმდა საქართველოს დაშლა იურიდიულად?

Select one:

- a. 1495 წელს
- b. 1485 წელს
- c. 1480 წელს
- d. 1490 წელს